SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი

თბილისი,
2023 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესს შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი).
2. პროცესში ჩართული ყველა სკოლა/ფაკულტეტი, ასევე სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესით და კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით.

მუხლი 2. პროცესის ადმინისტრირება

1. პროცესის ადმინისტრირებას და ვადების კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
2. სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია პროცესი წარმართოს შეუფერხებლად.
3. კანდიდატის შესახებ უნივერისიტეტის მართვის ორგანოებთან, ადმინისტრაციასა და თანამშრომელთან, მესამე პირისგან რაიმე სახის პრივილეგიის მოთხოვნა, ზეწოლა, მუქარა, სარგებლის შეთავაზება, უპირობოდ იწვევს შესაბამისი კანდიდატის დისკვალიფიკაციას.

მუხლი 3. მიღების ვადები

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
2. სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია მკაცრად დაიცვას რექტორის ბრძანებით დადგენილი ვადები.

მუხლი 4. ჩარიცხვაზე უფლებამოსილი პირები

აბიტურიენტთა/ მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში დასაშვებია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე

აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ-ით გათვალისწინებული წესის შესაბამიდად.

მუხლი 5. ჩარიცხვის პირობები

1. უნივერსიტეტი ვალდებულია კანდიდატების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობა.
2. უნივერსიტეტში ჩარიცხვა შესაძლოა განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ.
3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები, პრორექტორებთან და სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ ჩარიცხვის პირობებს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და წარუდგენენ რექტორს დასამტკიცებლად.
4. ჩარიცხვის პირობები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ჩარიცხვის მსურველის სტატუსს მოიპოვებს მხოლოდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე არსებულ სპეციალურ ბმულზე რეგისტრაციით.

მუხლი 7. უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. უნივერსიტეტში ჩარიცხვა შესაძლოა განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვება ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წინაპირობების დაცვით.
3. დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემდგომ გაიცემა უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე.
4. მას შემდეგ რაც შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიიღებს უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ

უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. რექტორის აქტი აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა და კრედიტების აღიარება

იმ შემთხვევაში თუ კანდიდატები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში უნივერსიტეტი გასცემს დასკვნას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ.